კვირა, 8 ოქტომბერი 1927 წ. № 121 ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

## ჩვენი პასუხი



ტარტაროზი (ჩემბერლენს): ტყვილათ ცდილობ, სულო ბოროტო, ჩვენს მიწა-წყალზე დაფრენას. ქარხნების ბოლში ამოვახრჩობთ შენს ვერაგ ზრახვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინდუსტრიალიზაციის სესხი

(ეს მოგონება დაწერილია ათი წლის შემდეგ—ე. ი. 1937 წელს, მაგრამ ვფიქრობ, რომ დღესაც, არ იქნება იგი ინტერეს მოკლებული და ამიტომ ვათავსებთ. **რედაქცია**).

ეს იყო 1927 წლის შემოდგომაზე. მახსოვს, მაშინ მთავრობამ გამოუშვა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები, სულ რაღაც 200 მილიონი მანეთის.

ახლა, 1937 წელს, ოქტომბრის რევოლიუციის 20 წ. თავზე, ალბათ ყოველ თქვენგანს გაუკვირდება: რა არის 200 მილიონიო, მაგრამ ამ ათი წლის წინად ეს ფული დიდი თანხა იყო მით უმეტეს ჩვენთვის, რადგანაც მრეწველობას საფუძვლიანი გადახალისება ესაჭიროებოდა.

დღეს,—1937 წელს თქვენ ხედავთ აუარებელ ფაბრიკა-ქარხნებს და ჰიდრო-ელსადგურებს. მაშინ—1927 წელს მხოლოდ დაწყებული იყო ახალი მშენებლობა.

მაშინდელ გაზეთებში ყოველდღე ნახავდით ქრონიკას: „

„დაიწყო ქალალდის ქარხნის შენება".

„შეუდგენ ჰიდრო-ელსადგურის შენებას".

„იწყება მადნეულობის დამუშავება". ,

თქვენ ახლა აღარ გაკვირვებთ ზაჰესი, რადგანაც რიონის ჰიდრო-ელსადგურს 65.000 ცხენის ძალა აქვს და თაფარავნისას 100.000. მაშინ—1926—27 წლებში ზაჰესისთანა სადგურიც დიდი ბედნიერება იყო.

— **ინდუსტრიალიზაციის სესხით და სხვა სახელმწიფო შინაურ სესხებით.** მაშინ ჩვენ ევროპა ესევ გვიღრენდა და სესხის მოცემას კი არა, ომის გამოცხადებასაც ეპირებოდა. ასე კი არ იყო საქმე დაწყობილ-დალაგებული, როგორც ახლაა.

ჰო-და იმას მოგახსენებდით, 1927 წლის შემოდგომაზე მთავრობამ გამოუშვა ინდუსტრიალიზაციის 200 მილიონიანი სესხი. მე მაშინ შემნახველ სალაროში ვმუშაობდი და ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებს ვავრცელებდი.

ერთხელ ჩემთან უმუშევარი მოვიდა. მაშინ ბევრი იყო უმუშევრები. ისე კი არა, ახლა რომ სანთელით ეძებენ უმუშევარს და მაინც ვერ პოულობენ.

მოვიდა უმუშევარი და ადგილი მიშოვეო მითხრა.

— სადაა ძამია ადგილი, ხომ ხედავ შტატებს ამცირებენ, აპარატის რაციონალიზაცია ხდება!—უთხარი მე.

— აბა რა ვქნა, კაცო?

— შეიძინე ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაცია.

— დამცინი, თუ რა არის?

— არა მეგობარო, იშოვე ერთი ხუთი მანეთი და შეიძინე ობლიგაციის მეხუთედი, შეიძლება ფული მოიგო.

— უმუშევარი დაფიქრდა და წავიდა. მართლაც სადღაც ეშოვა 5მანეთი და ობლიგაციის კუპონი შეეძინა.

— შევხვდი მუშას.,

— რას შვრები, ივანე, იძენ ობლიგაციას?

— ფული არ მაქვს, შემომეხარჯა...

— მაინც შეიძინე იცოდე, მაგას მოველით შენგან? მუშამ მართლაც შეიძინა.

გადავეყარე ნაცნობ ბუღალტერს.

— შეიძინე სესხის ობლიგაციები?

— საიდან ძმაო, წვრილი ცოლ-შვილი მყავს...

— რა უყოთ მერე? რა არის შენთვის 25 მანეთი? იქნება ფულიც მოიგო.

შეიძინა ბუღალტერმაც.

წავედი ერთ დაწესებულების გამგესთან. ერთ ხანს არ მიმიღო. მაშინ—1927 წელს ისე კი არ იყო, როგორც ახლა,—1937 წელს: ცოტა ბიუროკრატიზმიც გახლდათ, ცოტა „ვოლოკიტაც". გამგესთან შესვლა ძნელი იყო. ბოლოს მაინც შემიშვეს.

— შეიძინეთ სესხის ობლიგაციები!

— ნება არ გვაქვს,—მომჭირნეობის რეჟიმია.

— ნუ გეშინიათ, მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია მაგას არ ეხება.

— კარგი, შევიძენთ დაწესებულებისათვის.

— თქვენც შეიძინეთ პირადათ.

— კარგი, მეც შევიძენ.

წავედი სოფლად და გლეხებს უქადაგე სესხის მნიშვნელობა. მაშინ—ათი წლის წინად გლეხობა კიდევ არ იყო შეგნებული.

— მანქანებს გაგიკეთებენ, ფართალს მოგაწვდიან, მიტკალი ბევრი იქნება და ფანელი.—ვეუბნებოდი მე. ახლა, რომ მუშკოოპის ნოქრები მუშტარს ხელში ალლეტენ ერთმანეთს—ჩემგან იყიდეო, ისე კი არ ყოფილა: მიტკალს წვეთობით ყიდდენ. ფანელი მხოლოდ ზაფხულში იშოვებოდა. სამრეწველო საქონელი ასე უხვად არ ეყარა.

გლეხებმა დაიჯერეს და რამდენიმე იყიდეს კიდეც ობლიგაცია.

კერძო ვაჭარ-სპეკულიანტებშიაც ვეცადე ობლიგაციის გავრცელება (მაშინ კერძო ვაჭრობა ასე მიკნავებული კი არ იყო) და ზოგმა ვაჭარმაც შეიძინა.

ქალები პირდაპირ არ მასვენებდენ:

— მოგვეცი ობლიგაცია, ფულს მოვიგებთ და კოვერკოტს ვიყიდითო.

— მომეცით სამი 25 მანეთიანი ობლიგაცია.

—მომეცით ოთხი!

— მიბოძეთ ხუთი ობლიგაცია.

ერთი სიტყვით ჯანი გამაცალეს, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდენ ობლიგაციებს. ჩემ კასასთან სულ რიგი იყო.

სულ რაღაც 1 ნახ. თვეში გავასაღეთ 200 მილიონი მანეთის ობლიგაცია მთელ კავშირში. მაშინ ეს დიდი საქმე იყო, რადგან ფული ბევრი არ გვქონდა: მუშა რაღაც 70—80 მანეთს იღებდა თვეში, ახლანდელივით 200—300 მანეთს კი არ იღებდენ.

ობლიგაციები გავასაღეთ და დაიწყო სესხის გათამაშება, ანუ ტირაჟი. როგორც მოგეხსენებათ, თუ ობლიგაცია გაქვს, ტირაჟის, ანუ ობლიგაციების გათამაშების დროს შეიძლება ფული მოიგო. თუ ვერ მოიგებ, შენი ფული მაინც არ გეკარგება. ტირაჟი წელიწადში 4-ჯერ ხდებოდა.

პირველი ტირაჟი მოხდა 1927 წ. 28 დეკემბერს.

სწორედ სამი დღის შემდეგ, ახალ წლის დილით ჩემთან მოვიდა ის უმუშევარი, რომელსაც ობლიგაცია შევაძენიე. მოვიდა, მაგრამ რა მოვიდა: პირდაპირ ფრანტივით იყო გამოწყობილი, ასე გეგონებოდა დიდი ხნის შივლინებაში ყოფილა და შესაფერი გამოსარჩენიც ჰქონიაო.

ძოვიდა კი არა, შემოვარდა, მეცა და სამჯერ მაკოცა. თან წითელი კვერცხები მომილოცა.

— მოგილოცავ გენაცვა ახალწელს...

— კი მარა ეს წითელი კვერცხი?

— ეს ხომ იცი, ძველი ჩვეულებაა..

— კაცო, დღეს ახალი წელია...

გიჟივით ხარხარი დაიწყო. საწყალი ისე გახარებული იყო, რომ ახალი წელი აღდგომათ მოჩვენებოდა და წითელი კვერცხი შეეღება.

უცებ შემოტრიალდა, მეცა და ამიყვანა. ამიყვანა და ჰაერში შემაგდო, ისე რომ კინაღამ ჭერს დავეტაკე თავით.

— კაცო, რამ გაგაგიჟა, თავი არ გამიტეხო!

— გაგიტეხოვო! გაგიტეხო კი არა, ოქროთი უნდა მოგიჭედო, შენით გავკეთდი კაცო...

— როგორ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწორი რეცეპტი



**ავადმყოფი:** — ენაზე რაღაც მაზოლები გამიჩნდა...
**ექიმი:** — მაჩვენეთ აბა... ჰაა! თქვენ ალბად ბევრს ლაპარაკობთ მოხსენებებზე და ცოტას აკეთებთ; საჭიროა პირიქით: ცოტა ილაპარაკოთ და ბევრი გააკეთოთ, ენა მოასვენეთ და სატკივარიც გაივლის

— როგორ და ხომ გახსოვს ობლიგაცია რომ შევიძინე?

— მახსოვს.

— ტირაჟი რომ მოხდა 28 დეკემბერს ისიც გახსოვს?

— მახსოვს.

— ჰო-და ტირაჟი მე მოვიგე... მოვიგე ორი ათასი მანეთი, ათი ათას მანეთიანი მოგების მეხუთედი... მე ხომ ხუთ მანეთიანი კუპონი მქონდა... ოხ! იმ პიონერს ვენაცვალე ხელებში, რომელმაც ჩემი მოგების ნომერი ამოიღო ლოტარეიდან... მოდი ერთი დავლიოთ...

— ღვინის მოტანა მინდოდა, მაგრამ არ დამანება, ახალ ნაყიდ პალტოს ჯიბიდან ამოიღო ორი კვარტი კახური, ერთი კონიაკი, (ძალიან დიდი ჯიბე ჰქონებია! ტარტაროზი) უბიდან ბუტერბროდები ამოალაგა და ქეიფს შეუდექით.

— ეს გაუმარჯოს ინდუსტრიალიზაცია, რაციონალიზაციას, ნაციონალიზაციას, ტირაჟს, მირაჟს, ფინაჩნ, და ჟირაფს. ერთი სიტყვით, გაუმარჯოს აპარატის გამარტივებას და მის შედეგებს,—გაცხარებით ლაპარაკობდა ჩემი სტუმარი და სავსე ჭიქებს სცლიდა.

შემეგი ტირაჟი მოხდა 1928 წლის 20 თებერვალს. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა მუშა ივანე, რომელსაც ობლიგაცია ვაყიდვინე. მოვიდა ახალ სპეცტანისამოსში გამოწყობილი (მაშინ სპეცტანისამოსს სახლშიაც იცვამდენ).

— იცი რა გახარო? ფული მოვიგე,—მომაძახა მან. —ტირაჟი მოხდა და ათასი მანეთი მოვიგე. ახლა ყველაფერს ვიყიდი. ჯერ ეს სპეცტანისამოსი ვიყიდე, რადგანაც ადმინისტრაცია მაინც არ იძლეოდა. შენ გენაცვალე ერთი საღამოს დამეპატიჟე, შენგან მაქვს ეს ათასი მანეთი.

ბევრი ვიუარე, მაგრამ მაინც წაველი საღამოს.

მესამე ტირაჟი მოხდა იმავე წლის 20 მაისს.

ერთ დღეს, ტრამვაის საფეხურზე ასვლის დროს ვილაცამ წელში ხელი მტაცა, ციმ-ციმ ამიყვანა და იქვე რესტორანში ჩამიტანა. გაჯავრებულმა სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხე. მხოლოდ რესტორანში შევხედე ჩემს მომტაცებელს.

— ღვინო! მწვადი!—გასძახა მან რესტორნის პატრონს

— რაშია, მეგობარო, საქმე?—შეუბღვირე მე.

— ოხ, შენ კი გენაცვალე სულში, შენს პატივისცემას ვინ გადაიხდის!—აღტაცებით მეუბნებოდა იგი.—ვერ მიცანი? მე ის ბუღალტერი ვარ, რომელსაც შენ ობლიგაცია თითქმის ძალით აყიდვინე... მერე იცი რა მოხდა? მე მოვიგე... დიაღ, მოვიგე ათ ათასი მანეთი... ბუღალტერობას თავი დავანებე. ერთ-ორ თვეს ვიქეიფებ და მერე ერთ ლამაზ ქორწილს გავმართავ,—ცოლი უნდა შევირთო... ათიათასი მანეთი ხუთ წელიწადს მეყოფა... მერე კიდევ ვიყიდი ობლიგაციას, კიდევ მოვიგებ, კიდევ ვიყიდი და კიდევ მოვიგებ... სულ მოგებაში ვიქნები...

ძლივ-ძლივობით დავაღწიე თავი გაბედნიერებულ ბუღალტერს.

ერთი წლის შემდეგ, როცა ისევ მოხდა ტირაჟი, გლეხების დელეგაცია მომადგა.

— რა გნებავთ?

— ლატარია მოვიგეთ შენი ჭირიმე... დიდი ფული მოვიგეთ და კომუნა გვინდა გავაკეთოთ. ერთი აგრონომი გვიშოვე, რომ კომუნა მოგვიწყოს... ი ქიტე ძალლი ობლიგაცია რა მადლიანი ყოფილა... ნატარეაში ოცდახუთი ათასი მაიგეს ჩვენმა ბიჭებმა. ახლა წყალსაც გავიყვანთ, ტრახტორსაც ვიყიდით, კამუნასაც მოვაწყობთ....

სამ-ოთხ წელში მოსვენება არ მქონდა: ხან ერთი იგებდა, ხან მეორე. ზოგმა სახლი იყიდა, ზოგმა ცოლი გაუშვა და ახალი შეირთო, ზოგმა მაღაზია გახსნა, ზოგმა ავტომობილი იყიდა...

ასეთია დაახლოებით იმ ინდუსტრიალიზაციის სესხის ამბავი, რომელიც 1927 წელს გამოუშვეს.

ახლა, 1937 წელს ორასი მილიონი დიდი არაფერი თანხაა ჩვენი სახელმწიფოსათვის, მაგრამ მაშინ, ათი წლის წინად, როცა ასეთ წერილში ოცი მანეთის მეტს არ იძლეოდა (ტყვილად გვკერავთ, ქათინაური არ გაგივათ, ამ წერილში ოც მანეთს არ მოგცემთ. **ტარტაროზი).** „ტარტაროზის" რედაქცია, სხვა მდგომარეობა იყო: ახალი მრეწველობა იწყებოდა და ისეთი პატარა სადგურიც კი, როგორიც არის ზაჰესი, განცვიფრებას იწვევდა. თბილისში მაშინ ხეირიანი კანალიზაციაც არ იყო, ვერის დაღმართზე მტვერის ბუღი ადიოდა და პლეხანოვის პროსპექტის შეკეთებას ორი-სამი წელი უნდებოდა ქალაქის აღმასკომში.

**ბლლარ-ალლარსან.**



— მეეზოვევ, რომელი საათია?

— არ ვიცი ბატონო.

— კარგი მეეზოვე ხარ—დრო არ იცი.

— კარგი ბატონი ხარ—საათი არა გაქვს.

# მომთმენი იობი

ამ წერილის დამწერი ეხლა მკვდარი უნდა იყოს. მისი სიცოცხლის და სიკვდილის შესახებ, არავინ არაფერი იცის. არც არაფერი დარჩენილა მისი სიკვდილის შემდეგ, გარდა ამ წერილისა, რომელსაც სრულიად შემთხვევით წავაწყდით. როგორც დაინახავთ, მისი გვარიც გამოურკვეველი რჩება ამ წერილიდან. ვტყობილობთ მხოლოდ, რომ მისი სახელია იობი. ვინ იყო იობი, სად დაიბადა, სად გაიზარდა, ეს ჩვენთვის წყვდიადით არის მოცული. დანარჩენს ეს წერილი მოგვითხრობს.

წერილის სათაურია:

## „ფიქრები თავის მოკვლის წინ".

......არასოდეს არ ვიფიქრებდი, ასეთ საშინელ საქმეს, თუ ჩავიდენდი. სხვას უმტყუნებდი თავის მოკვლას. ვამბობდი: სულელი ყოფილა და მოსანაღვლიც არ არის-მეთქი. მართლაც არ არის მოსანაღვლი ის კაცი, რომელიც თავს იკლავს. ეხლაც ამას ვამბობ. მეც არავის ვსთხოვ შებრალებას, თუმცა ბევრიც რომ ვსთხოვო, ვის სცალია ჩემთვის. ცოცხალი არავის გავხსენებივარ, მკვდადი რომ მოვაგონდე, ეს ხომ სასწაული იქნება.

ჩემი თავი მაშინ დავღუპე, როცა საშუალო სასწავლებელი გავათავე და თავი ნასწავლ კაცად წარმოვადგინე, როცა სოფლის მასშტაბით არ დავკმაყოფილდი და ქალაქს მოვაშურე, მუშაობას მოწყურებულმა. ვფიქრობდი: ჩემისთანა ნასწავლ კაცს შესაფერად დამაფასებდენ ქალაქში და შესაფერ სამუშაოსაც მომცემდენ. პროტექცია ყოველთვის სათაკილო საქმედ მიმაჩნდა და მართალი გითხრათ, კვეხნით შემიძლია ვსთქვა, რომ ისე მივდივარ საიქიოს, რომ არავისთვის პროტექცია არ მითხოვია.

შევიდოდი რომელიმე დაწესებულებაში, ვნახავდი (თუ შემიშვებდენ) დაწესებულების უფროსს, და განუცხადებდი, რომ მე სურვილი მაქვს ვიმუშაო შესაფერ თანამდებობაზე. უფროსიც შესაფერ პასუხს მომცემდა და მეც თავაზიანად კარებს გამოვიხურავდი.

არ დამიტოვებია თბილისის არც ერთი დაწესებულება. თვით სასაკლაოზედაც ვიყავი სამჯერ, თუ ოთხჯერ ნავთლუღში, როცა თბილისის შიგნით ჩემთვის ადგილი არ აღმოჩნდა.

აქა-იქ მეტყოდენ „შემოიარეთო". მეც, რასაკვირველია, ხშირად შემივლია, მაგრამ როგორც შემივლია, ისე ჩამივლია.

„მოთმინებითა შენითა იობი"... ვეტყოდი ჩემს თავს და ვუცდიდი ბედს. ჩემს დღეში არ დამვიწყებია ერთი კაცის სახე, რომელსაც ყოველთვის სიცილი აუვარდებოდა კანცელარიაში, როცა მე დამინახავდა დაწესებულების უფროსთან შემავალს.

ერთხელ ის გამომყვა დერეფანში, გამაჩერა და მითხრა:

— შენ, ჩემო ძმაო, ისე დაბერდები, რომ სამსახურს ვერ იშოვი.

— რატომ?—გაკვირვებული შევეკითხე.

— შე კაცო, ქვევრში ხომ არ ცხოვრობ. „მალაჩევო, შენ სურვილი გაქვს იმსახურო. (სიცილს ძლივს იკავებდა). უშველე ძმაო, შეუჩინე ჩვენს გამგეს ვინმე დიდი კაცი. ოთხი ადგილია ცარიელი. ვინ მოგცემს უპროტექციოთ ადგილს? დაფაცურდი ეხლავე.

— მოვკვდები და მაგას არ ვიზამ.

— არ იზამ და მასე იარ, ჩემო კარგო!—მითხრა მან და გაიხურა კარი.

მე ისევ დავდივარ. ჩამოვხმი კვირკობისთვის ტარანივით, ჩემს ტანსაცმელში ვგევარ ყანის პირას დასობილ საფრთხობელას.

მოვიდა ბედი. გამოჩნდა პატიოსანი კაცი და მითხრა: ადგილი არის, მხოლოდ კავშირის წევრობაა საჭიროო.

— მიმიღეთ და კავშირში შემდეგ ჩავეწერები.

— არა, კავშირის წევრი თუ არა ხართ, უფლება არ მაქვს სამსახურში მიგიღოთ.

— ძალიან კარგი, ვუპასუხე და გავსწიე კავშირისაკენ.

— სურვილი მაქვს კავშირში ჩავეწერო, ვეუბნები კავშირის მდივანს.

— სად მუშაობთ?

— არსად.

— თუ არსად არ მუშაობთ, კავშირში ვერ ჩაგწერთ.

— ჰერი ჰაა! კავშირში არ მღებულობთ თუ არ ვმსახურობ, სამსახურში არ მღებულობენ, თუ კავშირის წევრი არ ვარ. როგორ არის თქვენი საქმე? ქვეყნის უკანონო შვილი ვარ? ზედმეტი თუ ვარ, ამ ქვეყანაზე, მითხარით.

.....და ბოლოს დავრწმუნდი, რომ მართლაც ზედმეტი ვარ.

გავიდა დრო. ავად იყო, თუ კარგად, ერთ-ერთ დაწესებულებაში მოვეწყვე. თანამდებობა არაფერი სახარბიელო იყო, მაგრამ ჩემი პროტესტი არავის გაუგონია. ვმუშაობდი, უკაცრავად სიტყვაა, ვირივით. ერთი კვირა ვიმუშავე. შემდეგ დაიწყო შტატების შემცირება და, რასაკვირველია, პირველად ჩემგან დაიწყეს. დავრჩი ისევ უადგილოდ.

გავიდა დრო. მოვეწყვე ერთ პატარა დაწესებულებაში, შეამცირეს, კიდევ მოვეწყვე, კიდევ შემამცირეს, კიდევ მოვეწყვე, კიდევ შემამცირეს. ბოლოს მომბეზრდა თავი; როგორც კი დაწესებულებაში ფეხს შევდგამდი, მაშინ გაახსენდებოდათ მომჭირნეობაც, რაციონალიზაციაც, აპარატის გამარტივებაც და ყველაფერი. დავრწმუნდი, რომ ჩემს ბედს დასდევდა ყველაფერი უკუღმართობა. ჩემმა ბედმა მარტო მე კი არ დამღუპა. სამარეში მიმყვება ერთი დაწესებულების ცოდვა. როგორც შიგ ფეხი შევდგი, მაშინვე, მეორე თუ მესამე დღეს, ლიკვიდაცია უყვეს. მე რომ არ შევსულიყავი იქ სამსახურში, დარწმუნებული ვარ არაფერი მოუვიდოდა.

მოთმინება კარგი საქონელია, მაგრამ როცა ყოველგვარი აზრი ეკარგება, ალარაფრად ღირს. ძალიან მეზარება თავის მოკვლა. მე თვითონ ჩემს თავს ვეუბნები:

— იობი, ძალიან ცუდი საქმე განიზრახე, მაგრამ რას იზამ, რა შენი ბრალია. რომ იცოცხლო, რა უნდა აკეთო? ან რა სიცოცხლეა შენი სიცოცხლე. გამოხვალ ქუჩაში და, მე შენ გეტყვი, სალამს მიცემას ვერ აუხვალ. შენთან გაზრდილი ამხანაგებიც რომ შეგხვდეს, სწორედ შენ რომ გაგისწორდება, მაშინ დაუწყებს ვიტრინებს ყურებას, ვითომ შენ არ გამჩნევო. შენი ამხანაგი შიო ავტომობილით, ჩაგივლის გვერდით და მტვერს თუ მოგაყრის თვალებში, თორემ სალამი დიდი ხანია მიზანშეუწონლად მიაჩნია. შენ კი, საწყალო იობი, ტრამვაიზე ოცნებობ, როგორც მიუწვდომელ ბედნიერებაზე. რა ღმერთი გაგიწყრა, იობი, კონსტანტინესთან „უდაკლადოთ“ არავინ შედის; შენ კი უბრალო გადამწერის ადგილი რა არის!—იქიდანაც ოცდაათჯერ მოგხსნეს.

ზედმეტი ბარგი ხარ ამ ქვეყანაზე, თუ დარწმუნდები. ხედავ, ხალხი ცხოვრობს, ხალხი ნეტარობს. რამდენიმეჯერ დაკვირვებიხარ: მოვლენ სასადილოში, სჭამენ, სვამენ, ეს სუკიო, ეს ცოცხალიო, ეს სალათაო, კახურიო, დესერტიო და რა ვიცი რა არა, შენ კი, შენ გაჭირვებულო, მესამე წელია ბორშს არ გასცილებიხარ. სოფლიდან რაც წამოდი, ღვინის გემო არ იცი როგორია. ღვინო კი არა, რამდენი პაპანაქება ზაფხული გაატარე ისე, რომ ლაღიძის წყალიც არ გადაგიშვია პირში. შენი ახალგაზრდობა (რაღა ახალგაზრდობაა, ოცდაათ წელს გადაალაჯე) ისე გაატარე, ერთი რომანი არ გქონებია. სხვის რომანს რომ წაიკითხავდი, ყოველთვის შენი გული თრთოდა და სტბებოდი მხოლოდ სხვისი განცდებით, აბა ერთხელ თუ გამოგიცდია პაემანზე ლოდინი? რამდენ ლამაზ ქალს შეხვედრიხარ, რამდენზე თვალი დაგრჩენია. აბა ერთს რომელიმეს თუ შემოუხედავს შენთვის? (თუმცა რა შესახედავი შენა ხარ!).

ეჰ! მოკვდი და გაათავე. რა გაქვს საერთო ცხოვრებასთან? აბა, შენ კიდევ კი გაქვს საერთო, მაგრამ ცხოვრებას რა აქვს შენთან [illegible]თო? სამსახურში ზედმეტი ხარ, შემცირება შენგან იწყება, მოდი და სამუდამოდ შეამცირე შენი თავი. ფული შენთვის არ არის. ერთხელაც მაგრად არ გამძღარხარ. რა კაცი ხარ, თბილისში ცხოვრობ და ტრამვაიზე დაჯდომა გენატრება, მაშინ როდესაც ზოგი ავტომობილს „სისტემის“ მიხედვით იწუნებს. შენთვის არ გაჩენილა თეატრი, კინო, პაემანი, ქალი და არაფერი.

მარტო ჰაერი, რომ ყლაპო, ეს ხომ ცხოვრება არ არის. მშვიდობით ყველაფერო! უპროტესტოდ ვშორდები ცხოვრებას.

**იობი“.**

---

**შენიშვნა:** ეხლა მოვიდა ცნობა, რომ იობის თავის მოკვლა დაზარებია; წასულა ისევ სოფელში, დედამისის მიერ გამომცხვარ ჭადს სჭამს და ცხოვრებით კმაყოფილია.

**სეგეირ-ბენ-შეიხ.**

---

# მოსწრებული პასუხი

(ი. ბეჟ-ის მიხედვით).



მასწავლებელი:—რა არის ფედერაცია?
მოწაფე:—(ჯიბიდან იღებს პაპიროსს):—ფედერაცია აი ეს პაპიროსია.

# გეოს ყისმათი

— გებნები, ანგელოზმა ჩვენი ყისმათის ბაშბორთი ეშმაკს ხათაბალების კნიშკაში გაუცვალა მეთქი! ამ ბემურაზ ეშმაკსაც, —რაც რომ ფინთი ნესჩასტიები იყო სულ ამ კინიშკაში ჩაუწერია: — ასმა გეოჯან, ქრისტიანული ჟამანაკები აგერიოს, ხათა და შარი კი აღარ დაგელიოსო! ჰამაც რაც აპასნი სლუჩი შაგხვდეს, შიში. ჟუტკი მამენტები,—რამე—ისიც სხვა იყოსო მააშ!?

ჰუზურში ასე გამოდის რალა, სიყმეს გეფიცები, თელეთის მადლმა—ჰიმ არევ-ქუ არევ, ტოჩი-ტოჩ სიმართლეს ვამოფ, გინდა დაიჯერე, გინდა ნუ!..

ვაჰხ! ქრისტიანებოჯან, ამტოლი ხათა გინახიათ? სადაც რომ არ წაველ, ყველგან ნეუდაჩა და ნედარაზუმენიები, ყველგან ბრიაბრო და მასხარათ გაკეთება, შიშა, ზარალი და ათასი დოზანა—ვინ მოსთვლის? სლოვომ ჩემი საქმე ამ კიტაიცკის ლენერლებივით სულ უკან-უკან მიდის რალა, ჩიჩმაკები აირია.

ახარ ზარალსაც ზარალს ეტყვიან, ჰამა ამისთანა ჰაკარაკი ზარალი?—ფეფელამ ერთი წყვილი კრიპდიშინცკის საცვალი დაკარგა, გრანიცის საქონელი იყო,—თავის აჟურნი ვიშიპკებით, რამით,—ჰამაც კარქი ფარლალალა კაპოტის კაბა, ტუფლ-პადუსკი, გუბნი პამადა თავის რიდიკულითა და ლორიგანცკის პუდრითა, სულ კანდრაბანტის რამეები იყო, ოქროსავით ხალასი—პოლიპრიანი რამეები.

ჰამაც ამას ჩემი ფინჯაკშარვალი და ბაშმაკები მიუმატე, იქაც ქუდი და ახლათ ნაყიდი ბანდაჟი ჩადი ჩოთქში! ნახე რა სუმა შადგეს? არა, რომ დიდი ზარალია? ჰუზურში შიში და აბიდაც ცალკე გვიქამია—მააშ!?

ქობულეთის ამბავს გებნებით...

ვაჰხ! არ გაგიგიათ ქობულეთში რა სლუჩი მოგვივიდა? ერიჰაა, მაშ ქვევრში იჯექით თუ რა დოზანა დაგემართათ? ყური დამიგდეთ, თავიდან ვამოფ:

ხომ იცით, ბორჯომში, რომ ფეფელა ავათ გახდა, იმ ბემურაზ შავი ქათმის ჰუმი ჯიგარი რომ ჰამა და ბოლოს ასლაჟენენია ქნა. ის იყო რალა, კინალამ უბაშბორთოთ პირდაპირ საიქიოს გამიფრინდა ეს სალსალამათი დედაკაცი. ბოლოს ჰაი ვეტერინარნი დოხტური, ჰაი ოყნა, ჰაი ლოხმანცკის კაპლები, ჰაი ფლანი, ჰაი ფსტანი და ახში ისევ საჩვენოში მოვიდა რალა— მორჩა,ფეხზე ადგა, და ძველებურათ ისევ მწყრები აათამაშა. ერთ დილას ნუყლივით ტკბილი და ლასკოვი ლაპარაკი დამიწყო:

— გეოჯან, ხომ ნახე ზაფხული ამ ჩორტი-ნაკულიჭკაზე გავატარე და განათლებულ ხალხში გამოვაკლდი, ეხლა კი რეშენია მიქნია ახალ ჰაგარაკზე მივდივარო.

ეშმიში გავხდი, ვერაფერი გავიგე:

— დედაკაცო, იასნათ მითხარი, დიდმარხვის ანგელოზებმა ხომ არ მოგიარეს? რის ჰაკარაკი, რის ნაკულიჭკა, სად უნდა წახვიდე მეთქი?

იცინის, მაგისთანა ნედაგადლივათ უნდა დაბერდეო? მე ინტლიგენცკურ რამეებს გებნებიო, ჰაკარაკი კი არა ჰაგარაკიო, ჰაგარაკს განათლებული ხალხი დაჩას ეტყვიანო, ახალ დაჩაზე მინდა წასვლა, ეხლა მოდნაში ქობულეთი შამოსულა და ყველა ნასწავლები იქ მიდიოანო. შენ სიყმეს ვენაცვალე უარს ნუ იტყვი, ერთი თვით ჩავიდეთ, ჰამ ვისიამოვნებთ, და ჰამაც შენ კანდრაბანტი რამეები იყიდე და როცა ჩამოვალთ ფულს მაიგებო...

— ფეფელ, ჰოპოპები ნუ აგიშვია, აღარ გახსოვს ერთხელ ქობულეთში ზურგიელმა რომ გიკბინა და ბარკალში თიაქარი გაგიჩნდა?

— უი ფჩანეს შენისთანა წუწურაქი ქმარი! ჰაზირ სწორეთა სთქო, რომ ფული მენანებათქო? ჰამაც რის ზურგიელი, რის სელიოტკა, მე მაშინ დოშმა მიკბინა და ეხლა კი დოშები შავ ზღვაში აღარ ყოფილანო მააშ?

— მაშ სად წასულან?

— ამას წინათ ციკლონი ქნა და რაც რომ დოშები იქო, სულ კასპის ზღვაში გაცურებულანო—ეფრემ-ვერდში ასე ეწერაო!

მახლაზ, ბევრი ვიჩალაშეთ, ბევრი ვიჩხუბეთ, ჰამა ახში იმან თავისი ქნა და მეც ისემე მაქნევინა—დასტური რალა, სალლასნი გამხადა!

პუპუზ, მესამე დღეს ქობულეთში ვართ!... გავსულვართ ბერეგზე და ვა, ვა, ვა,—გული მარწყვათ მექცა, [illegible] ცეცხლი მამეკიდა. ხიწიწვით დამხოუკა, სისხლი პაყრათ გადამექცა, შამამეხვია, ჭრაქათ ამანთო, ტვინში კანარეიკა ამიჭიკჭიკდა, საფეთქელში კიკლიას ზურნამ დაუკრა, ყურებში ჩოპკას ჭიანური აკვნესდა,—გავშრი, სტალბნიაკი მამივიდა თვალი ველარ მოვაშორე:

იცით რა იყო? ვა, სამოთხე დაბლა ჩამოვარდნილა რალა, თავისი ცხონებითა და ანგელოზებით—ჩემა მზემ მართალს გებნებით, სამოთხესავით ყველა შიშველი იყო, ანგელოზებივით ყველა ერთმანეთის გვერდით ტიტლიკანა გორავდა, წინ უწვებოდა, ეზმორებოდა, ხან ერთ ხარეს უჩვენებდა ხან მეორეს; ანგელოზებივით დედიშობილა დარბოდნენ, ერთმანეთს კამუშკებს ესროდნენ, ზღვაში აგდებდნენ, ერთმანეთს ისემეს უშვრებოდნენ,—კუნჭებში აქცევდნენ, რალა, ასმა ფიზიჩესკი კულტურააო.

ლაზათ გეოჯან, უყურე და ნასლაჟდენია ქენი, ნერწყვი ყლაპე, თვალები აცეცე, მეტი შნო ხომ ღმერთს შენთვის არ [illegible]? ან [illegible] რა გინდა? სამოთხეში ხარ, ანგელოზებსა ხედამ, ვა, ცოცხლათ ცხონება მოგივიდა, ეე, მეტი ყისმათი? ჰამა ქობულეთისა და სამოთხის შუა მარტო ერთი პატარა რაზნიცაა—სამოთხეში ადამ და ევასა ლელვის ფოთლები ეფარათ,- ქობულეთში კი კანც ლელვი ბევრიაყო, ჰამა ლელვის ფოთოლს მაინც არავინ ივარებდა, ყველა ისეა, როგორც ღმერთს გაუჩენია—რათ გინდა ლელვის ფოთოლი? შენ ყურება გინდა, თოლ უყურე—გინდ აქედან, გინდ იქიდან—ვა, პაჟალუსტა, დამშლელი მოგიკვდეს!...

ვინ გინდა რომ აქ არ იყოს? ქალი, კაცი, ჯეჰელი თუ ბებერი, ლამაზი თუ კუზიანი, გიჟი თუ ჭკვიანი—ვინ მოსთვლის? ყველა გატიტვლებულა, თავის ალუხ-მალუხი გამოუფენია და ანგელოზათ გამხდარა—მააშ!

შენ კამუნისტები თქვი; იმათაც ანგელოზობა დაუწყვიათ... ეგ ბემურაზები აქ სობოროს გვიკეტამენ და შიგ შახმატნი კლუბს აღებენ, იქ კი ანგელოზებში ერევიან! ჰაი გიდი აბასთუმან? [illegible]ლანდაძე ბენუას იცნოფ? შიგ შუაზღვაში ფეხ-დაფეხ შედიოდა და სელიოტკებს ხელით იჭერდა მააშ?!. ვარძიელოვი იაშა გაგიგონია? აი სუდიების და პროკლოვ-ადვაკატების მინისტერი როა რალა, ვაჰ,——[illegible], [illegible] ყუმისის ლებე-



დიაო... ჩეჩელოვ ალიას ერთი კიტისთვის წიხლი გაურტყავს და სულ წინა კბილები ჩაუმტვრევია—ჩემა მზემ მართლა!...

ახარ ფარსადანი? ვა, ეგ მახვილაკიც იქ არ დამხვდა?!. მექისე, თათარივით გაშიშვლებულიყო და ტრუსკებით დადიოდა,—თურმე კუდი ჰქონია მაგ ბემურაზსა, ეშმაკის პრაისხაჟდენიისა ყოფილა... აკი იმიტომ ეშმაკურათაც წავიდა პაჩტი დაიხრჩო: :

ერთიც ვნახო, ზღვა ღელავს, ისეთი ვალნები ხტება, გეგონება ფუნიკულიორიაო. ყველანი შორიდან ვდგევართ და შიშისგნით ახლო ვერ მივდივართ. პუპუზ, საიდანღაც გაძვრა ეს ფარსადანი და მამენტალნათ იხვის ბარტყივით შიგ ჩავარდა, ბაც!... შეახტა ერთი ვოლნა და ჩიტის ბუმბულივით წაიღო, აქეთ მიარტყა, იქით მიარტყა და სრაზუმ მაასპო—სადღაა ფარსადანი? ქაფიც აღარ დარჩა! ბერეგზე წიოკობენ. ზოგი ტირის, ზოგი გარბის, ზოგი იძახის უშველეთო. მე კი მიხარიან და ვყვირი:

— აფერუმ ჩემა მზემ, ესე მოკვდი, ჩაძაღლდი, შე ლუპუსტაცო, მაშ ღმერთი შაგარჩენდა ჩემსა და ფეფელოს მახსარათ გაკეთებას? პრავა ვალნაჯან, არ გამოუშო, თევზების ზაკუსკათ გააკეთე მეთქი. ერთი ჩეთვერ საათი რო გავიდა, ვნახოთ, ფარსადანმა ისევ ამოყო თავის დიპლიპიტოს ჩხირებივით დაგრეხილი ფეხები და ყუდს აქნევს—მითომ მიშველეთო რაღა... ვინ უშველის?. მე სიხარულისგნით ფეხზე აღარ ვდგევარ. უცბათ ვიღაცა მეძახის:

— ახტი ბეზუმნი სტარი მარტიშკა, კაკ ტი სმეიშ სმეიაცა, ამისთანა ჭკვიანი ჯეჰელი გველუპება და შენ იცინიო? მივხედე, ვხედამ ნახევარ დუჟინი დოგოლა ტიტლიკანა ნუგბარი ბარიშნები შამამხვევიან და მიჯვარდებიან...

— ვა, ბარიშნებოჯან, ჩემი სიყმე თქვენ გენაცვალოთ, მაგისთანა ნუგბარი ვინმეები ხართ, ფარსადანის შვილები ხომ არა ხართ მეთქი?

— შვილები კი არა იმის პაკლონიცები ვართ, ვინც რომ აქ არის ყველას ჯიგარი ეწვის და შენ კი იცინიო? ამ ნიმუტში ჩვენს კავალრებს დაუძახებთ და შენ თავს ავაკატავებინებთო.

ამ შიშველ ქალებთან ლაპარაკში ცოტა ავღელდი, ფეფელამ შამატყო და რევნოსტობა დაიწყო, მტაცა ხელი და სახლში გამაქცუნა. ფარსადანი კატასავით გაიგუდა და ზღვაში დარჩა. ნუ,ჩორთ, სნიმ, ახია იმაზე!..

მაგრამ შენ მერე თქვი: ორი კვირა გავიდა, მე და ფეფელა სულ გვრიტებივით ტიტვლები დავდივართ, გაიხდის, მეც ჩემებურათ გაუყრი პადრუჭკს და ბერეგ-ბერეგ დავდივართ!... ჯერ კი ბევრი ვეჩხუბე.

— ფეფელ, ახარ ცოტა ნამუსი შაინახე, ყველაფერს რო იხდი სირცხვილი არ არი, ტრუსკი მაინც ჩაიცვი, თოლ, წელის ქვემოთა ხარე მაინც დაიფარე, მთელი მილეთი გიყურებს!

— პაჟალუსტა მეშჩანცკობას თავი დაანებე, ჩაცმული შინაც მეყოფა, აქაური მოდნა გახდაა, იმიტო ვიხდი, რომ განათლებულ ხალხში მეც გავერიო,—ყველამ შამამხედოს და ინტლიგენტ ქალათ ჩამთვალოსო?...

— ვა, მაშ თუ გახდა განათლებაა, ფოსოს აბანოს მექისეები სულ პროფესორები ყოფილან მეთქი, განათლება კი არა, ბემურაზობა, შარლატნობაა, ჰამაც, ის ქალები, რომ ტიტვლდებიან ისინი თავის ლამაზ ტანს აჩვენებენ და შენ იმათ რას ებაძები მეთქი?

— უი ქი, ფჩანეს იმათი თავი, იმათ თავის ტანი აჩვენონ, მე ჩემსას ვაჩვენეფ, ალხანას, ჩალხანა არ დაელევაო არ იცი?... ბოლოს მაინც ტრუსკოთ არ უშვებდა და ასე პაროჭკათ დავდიოდით.

ერთ დღეს მზეზე ვწევართ ჩერესჩურ დავიწვით და ტყავის როსპუხი მოგვივიდა. მამენტალნათ ავირბინეთ და იქვე ხეების ქვეშ წამოვწექით... ჰაკარაკათ არ დაგვძინებია? სალამო მოსულა. გავიღვიძე, ვხედამ. ჩვენი ტანისამოსი, და რამეები აღარ არი. მოუპარიათ. ფეფელა დოგოლა შიშველი დარჩა, მე კი ტრუსკები შამრჩა. აქეთ ვეძეფ, იქით ვეძეფ, არ არი, ტიტველი გავლა უჟე აღარ შაიძლება, ბაზრის ხარეს უნდა გავიაროთ, აბიდას ხომ არა ვჭამთ. ჯერ ვიტირეთ, მერე ჩხუბი და ყალმაყალი ვქენით, ჰამა, ბოლოს გადავწყვიტეთ, დაღამდეს და გავიპაროთ.




ჰამაც ხეების იქით, ერთ ეზოში ნაგვის იაშიკი იყო, მოვათრიე, და ვებნები:

— ფეფელ, ჩაჯექ, აგიკიდეფ და სახლში მიგიტან!.. ჯერ უარი თქო, ჰამა ახრიზამანში სალლასნი გახდა! როცა შაბინდდა ავიკიდე და ხვნეშით მიმაქვს!.. ერთიც ვნახო უკნიდან ორი ახმახი მორბის და მეძახის:

— სტოი, ნი სმესტა კანდრაბანდისტ, ლევროვს დაგარტყამო... თურმე, მელიციონერები არიან, კანდრაბანდისტები გამოჰქცევიათ და, მე რომ იაშიკი დამინახეს, ეგონათ კოდრაბანტი საქონელი მიაქვსო და მამცვივდნენ. მოგვადგნენ და მკლავის სიგრძე ისემეები მოგვიშვირეს, მაიზორცკის ლევროვები...

— რუკი ვერხ, მამენტალნა ბრასაიტ იაშიკ, თორემ ეხლავე პულიმეტრს მოგაყრიო.

მე ენა მივარდება, მუხლები მიცახცახებს, ჰამა იაშიკს მაინც არ უშვეფ, ვებნები: :

— ძმებოჯან, რის კანდრაბანტი, რის ბოზბაში, ეს ის საქონელი არ არის რასაც ეძებთ, ვერა ხედამთ ნაგვის იაშიკი მკიდია, შიგ ფინთი რამეა და შორს გადასაყრელათ მიმაქვს, გამიშვი წავიდე, მეთქი.

ბან ჩუნეს? ერთი ახმახი მოვიდა და იაშიკს ხელი წაატანა.. ვიფიქრე, ეს ტიტლიკანა დედაკაცი რომ ამათ ხელში ჩავაგდო, ვინ იცის, კაცნი ვართ, რა ჰიშტის ხალხია და რამე აპასნი არ მოხდეს მეთქი. გავქცუნდი.

უცბათ, ბრახ! ლევროვი არ გააგდეს?... დერჟი ემუუუ, რაზბონიკ, კანდრაბანტა მიაქვს, მამენტალნა სტრელაი, ლევროვ, ბომბუ, პულიმეტრ, კინჟალუო და და ბრახა-ბრუხი ამიტეხეს?.. იაშიკი დავაგდე და ისე გავფრინდი, როგორც გუგული.

უკნიდან ფეფელოს ღრიალი მესმის, ჰამა რა მიმახედებს?... ბევრი ვირბინე... ბოლოს ის ახმახი დამეწია, კისერში მწვდა და დამიჭირა. წამათრიეს კამისარიატში —ატყდა ჩოჩქოლი, დამიწყეს დაპროსები, პრატაკოლები:

— რათ იყო, როგორ იყო, ვინ იყო, ფლანი, ფსტანი და პუპუზ, ფეფელოც იაშიკით ზედ არ მამაყენეს? ასმა ვეშჩესტვენი დაკაზატელსტვააო...

ერთის სიტყვით, სამ დღე-ღამეს გვაწვალეს ტიტლიკანა ხალხი და ბოლოს ახში გამოარკვიეს, რომ ჩვენ კანდრაბანდისტები არ ვიყავით და ნააბაროტ ტანისამოსიც მოგვპარეს... ახარ იმ აბიდასაც ნუ მათქმევინებთ, რაც იქ მე და ფეფელოს გადაგვხდა. ჰუზურში, საქმე იმით გათავდა, რომ მელიციამ ჩვენი ტანისამოსის ძებნა დაიწყო და გვითხრა, რასაც ვიპოვნით, თბილისში გამოგიგზავნითო.

აი ჩემი ყისმათი!... აი ამისთანა დაჩნიკობა მამივიდა ქობულეთში, აი თელეთი გაუწყრეს, ვინც რომ ქობულეთი ჰაგარაკათ გააკეთა!...,

ფარსადან.

ტარტაროზკორებო, შემოკრბით „ტარტაროზი"-ს გარშემო!

# კვაწარახი

№ 3 „ტარტაროზი"-ს უფასო დამატება № 3

# დეპეშები

## უცხოეთი!

### ძმური პატივისცემა

**ხონი.** ბერლინიდან მიღებულ რადიო-ცნობის თანახმად, სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა პრეზიდენტ ჰიდენბურგს დაბადებიდან 80 წლის შესრულების გამო საპატივსაცემოთ ფეხი დაჰბანა და ხელზე ემთხვია.

### ეშმაკის ხლართი

**მოხისი.** პარიზთან უშუალო კავშირის აღდგენის შემდეგ დაუბრკოლებლად მოდის ცნობები, რომლებიც ადასტურებენ, რომ... (გამოტოვებულია)... ამხ. რაკოვსკი და საბჭოთა კავშირის... (გაურკვეველია)... მილერანი და პუანკარე ორივე მტრები არიან მოსკოვის და... (ბოლო არ არის მიღებული)..

### ჭელია იცინის... იცინის...

**ტყიბული.** თანახმად ნიუ-იორკიდან მიღებულ რადიო-დეპეშებისა, პრეზიდენტი კულიჯი ერთა ლიგის სესიის უნაყოფოდ დასრულების გამო ყოველ საათში სამ-ოთხჯერ გადიხარხარებს.

### „ძმა—პირის-ზიარება".

**ოკრიბა.** როგორც ბერლინიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ საპატიო წევრად აირჩია პრეზიდენტი ჰინდენბურგი.

### გახრწნილი ლეში

**ზუგდიდი.** ვარშავის სააგენტო იტყობინება, რომ პილსუდსკიმ თავის პა[illegible] პარტიის ზოგი წევრები — [illegible] მეგობრები ცხვირზე ხელმოჭერილი გარბიან პარტიიდან.

**უვირილა.** როგორც ტოკიოდან გვატყობინებენ, არსდება ფაშისტური პარტია: „მგელი მგლის უარესი ცხვარმა შესჭამა".

## ადგილობრივი

### ცხვირ-ბადე

**ნიუ-იორკი,** სოფ. ძეგვში (გორის მაზრაში) სანიტარულმა კომისიამ მიიღო დიდი პარტია ცხვირ-ბადე, რომელიც ამ დღეებში დაურიგდება მცხოვრებლებს, რომ საშუალება მიეცეთ აყროლებულ გზაზე გავლისა.

**შენიშვნა:** მკითხველი იფიქრებს — [illegible] სანიტ-კომისია გზას მძორისაგანო? საქმე იმაშია, რომ აყროლებულ ლეშთან მიკარება ძნელია. ხოლო რა კი ცხვირ-ბადე ექნებათ მცხოვრებლებს, მაშინ სუნიც აღარ შეაწუხებს და ლეშისაგან გზის გაწმენდაც აღარ იქნება საჭირო (აი, სანამდე მიდის ადამიანის გონება!).

### წაწუმენდილი ცხონდია

**სტამბოლი.** როგორც ამაშუკეთის და ხუნევის (შორაპნის მაზრა) სააგენტო გვატყობინებს, ექიმი **ცხონდია** მაინც ვერ ცხონდება, რადგან იგი ტყავს აძრობს ავადმყოფებს (უფრო სწორედ — მათ ჰირისუფლებს).

### „მუზეუმი"

**რომი.** სოფ. ჰინაფში (გურია) დაარსდა ქოხ - სამკითხველო — „მუზეუმი", სადაც ინახება ძველ-ძველი გაზეთები მემატიანეებისათვის.

### სისწრაფის რეკორდი

**პარიზი.** სოფ. კიწიაში (სენაკის მაზრა) ადგილობრივმა საფოსტო განყოფილებამ აიღო სისწრაფის ახალი რეკორდი—ტფილისიდან გაგზავნილი 12 მანეთი ორი თვის შემდეგ ჩააბარა პატრონს.

**ვაშინგტონი.** სოფ. მანავის (ტფილისის მაზრა) გლეხკომმა დაამყარა მუშაობის უმაღლესი რეკორდი: თავისი არსებობის განმავლობაში გასცა ორასამდე სიღარიბის მოწმობა და ბეღელში შეინახა ორფუთნახევარი ხორბლეულობა.

## „მეფის დალაქი"

ვილჰელმის მარჯვენა ხელი. გერმანიის „რესპუბლიკის" პრეზიდენტი—ჰინდენბურგი ნიადაგს ამზადებს გერმანიაში მონარქიის აღსადგენად".

გაზეთებიდან.



ვილჰელმი

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი გამიხდა ჭალარა...
ნუ თუ კვლავ მეფედ გახდომა
აღარ მეღირსოს, აღარა?!

ჰინდ[ენბ]ურგი (ვილჰელმს):

ულვაშებ დაგიგრიხე,
შოგპარსე წვერი ჭალარა.
გაგაკოხტავე.. სიბერე
აღარ გაჩნია, აღარა.

„ტარტაროზი" № 123
სპეციალური ნომერია „მეცნიერება და ტეხნიკა"-ზე
ლევარსი როხროხაძის რედაქტორობით

# რედაქციაში

ტარტაროზი გართულ მუშაობაში იყო, როცა უცნობი მოქალაქე შემოვიდა მის კაბინეტში.

— ისე გეტყობა სიფათში, რომ ტარტაროზი შენ უნდა იყო!..

— დიახ! მე გახლავარ!

— ხა-ხა-ხა-ხა!— გადაიხარხარა მოქალაქემ. ტარტაროზს გაუკვირდა და კინაღამ შეეკითხა:

— თქვენ ახალ-შექანჯალებული ხომ არ ხართ? — მაგრამ მოქალაქე წინ დაუჯდა.

—ამ ბოლო დროს ძალიან მასხრობთ და მეც გადავსწყვიტე თქვენთან თანამშრომლობა! — და ჯიბიდან ქაღალდები ამოიღო. — პაპიროსი მომეცით თუ გაქვთ?—ტარტაროზმა პაპიროსი მიაწოდა. მოქალაქემ ერთი ცალი პირში ჩაიდვა და ორი — ყურებზე გამოირჭო იქით-აქეთ.

— ჰო-და, იმას მოგახსენებდით, რომ განაგრძო მოქალაქემ—მასალა მოგიტანეთ, მარა თუ წინდაწინვე არ შევთანხმდით, ისე ვერ მოგართმევთ... ხა-ხა-ხა-ხა!..

— ბრძანეთ!

— კაცო, შენ ისე მელაპარაკები, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი! რისი „[illegible]", რისი „დაბრძანდით", რისი „[illegible]"... ისე რაღა — ყაიჩოღულად, ავარულად... ხა-ხა-ხა-ხა... ჰო-და იმას გეუბნებოდი, რომ ჯერ ერთი: მასალ[ა] უნდა დამიმახინჯოთ, ე. ი. უნდა შემისწოროთ,—და მეორე სტრიქონ[ზე] უნდა მომცეთ ათი შაური გონორარი...

ხა-ხა-ხა-ხა... ანგარიში არის ტარანი... სიყვარული-სიყვარულია და პატივისცემა - პატივისცემაა, მაგრამ ფული-ფულია და გონორარი-გონორარია...

ხა-ხა-ხა-ხა... რას იტყვი ამაზე შენ?.. ხა-ხა-ხა-ხა!

— ჩვენ ასეთი წესი გვაქვს: თუ მასალა კარგია და...

— როგორ გეკადრება! აბა მე ცუდს დავწერდი? მაგაში ეჭვი ნუ შეგივათ... ხა-ხა-ხა-ხა...

— გამიგონეთ: რედაქცია როგორც საჭიროებას დაინახავს, ისე შეასწორებს—შეამოკლებს მასალას... რაც შეეხება გონორარს, ჯერ ერთი შემთხვევითი თანამშრომლებს გონორარს არ ვაძლევთ,— და მეორეთ ათი შაურის ნახევარსაც ვერ მოგცემთ.

— ხა-ხა-ხა! [illegible]ა მასხარა ყოფილ[ხარ] ხარ ტარტაროზო... მასე უნდა გენაცვალე... მიხაროდა შენთან მოსვლა და რედაქციაში ყოფნა... ხა-ხა-ხა-ხა...

კი შე დასაღუპავო, მარა, მე და სხვა ერთი ვართ? ჩემისანებს თვითონ უნდა სთხოვდე თანამშრომლობას; მე თავი მოვითამდაბლე და თვითონ მოვედი... გონორარი ძალიან ცოტა გქონებია. ძალიან პატივ[ს] [illegible], მაგ ამ მაგ ფასში ვერ მოგყიდი; სხვა რედაქციები კალთას მაღლეტენ—ჩვენ მოგვიტანეო და სტრიქონში სამ მანეთს მოგცემთო, მარა, ხა-ხა-ხა-ხა... მე შენთან მირჩევნია.

— ასეა ბატონო, და...

— დეიხრჩვი იქით! რისი ბატონი? მე ძალიან მეჯავრება ამხანაგობაში მაგეთი ზრდილობა... ხა-ხა-ხა-ხა... არა, წყალში თევზს რომ [illegible], ჯერ ნახე რაღა, შე[ნ] მართლა ფარსადანის ბემურაზო შენა! ხა-ხა-ხა-ხა... წაიკითხეთ!—და მოქალაქემ ტარტაროზს ერთი ლექსი მისცა. ხელში კიდევ უამრავი ეჭირა.

ტარტაროზი კითხულობდა და იცინოდა.

[illegible] ხეთქო!—ტარტაროზს კიდევ უფრო წასკდა სიცილი, რომელიც შეუკავებელ ხარხარში გადავიდა.

— დეიხვრჩი, დეიხრჩვი სიცილით... ხა-ხა-ხა-ხა... ახია შენზე... აბა რა გეგონა? მე რომ დავსწერ, ისეთი იქნება, რომ სიცილით ტანზე კანი არ შეგრჩება... ხა-ხა-ხა-ხა... მაგი რა არის, ეს რომ წაიკითხო, სიცილით მოკვდები... ხა-ხა-ხა-ხა...

— თქვენი მასალების დაბეჭდვა ჩვენ არ შეგვიძლია. მკითხველებს ვერ დავხოცავთ სიცილით!—და ტარტაროზმა მასალები უკან დაუბრუნა.

— მეხუმრები?! ხა-ხა-ხა-ხა...

— არაფერსაც არ გეხუმრებით! გთხოვთ ხელს ნუ გვიშლით და მიბრძანდით!

— არა, არა; გაჯავრებაც არ გშვენის... ხა-ხა-ხა-ხა... შენ ამისათვის უვარგისი ხარ. ხა-ხა-ხა-ხა!

— მე თქვენ არ გეხუმრებით!

— ხა-ხა-ხა-ხა! გეტყობა რაც შვილი ხარ... აგაშენა ღმერთმა, კარგი დრო გამატარებიეთ... დაიტოვეთ და დაბეჭდეთ; არც თქვენი [illegible] მინდა და არც არაფერი; შემომიწირავს თქვენთვის.

— ტყვილათ ტოვებთ; ჩვენ მაგ ლექსებს, როგორც უვარგისს, არ დავბეჭდავთ!

— როგორ, ხუმრობთ თუ მართალს ამბობთ? ხი-ხა-ხი-ხეე!—აერია ხარხარი მოქალაქეს.

— სრული ჭეშმარიტებაა, და გთხოვთ ხელს ნუ გვიშლით.

— თქვენ ცდებით... ეს ლექსები ისეთი ლექსებია, რომ, როცა სახლში ცოლ-შვილს წავუკი[თხე] სიცილით კინაღამ დაიხოც[ნენ]; ძალიან მოიწონეს და...

— უკითხეთ ცოლ-შვილს; „ტარტაროზი"-ს ყიდვა აღარ დაგჭირდებათ და ესეც ხეირია.

— მე თქვენ მასხრები და სხვა ხალხი მეგონეთ... თურმე ჩვეულებრივი ხალხი ყოფილხართ... გადით თქვენი დე...—უკანასკნელი სიტყვები აღარ გაგვიგონია, რადგან გახურულ კარების ხმაურობამ შთანთქა.

მოქალაქის გასვლისთანავე ყველამ გადვიხარხარეთ.

ენუქი.

## [illegible] შეცდომათა გასწორება*)

სწერია: ორთავიანი **არჩივი**
უნდა იყოს: ორთავიანი **არწივი.**
სწერია: ყველას უნდა მოვუწოდოთ **სიფილისისაკენ**
უნდა იყოს: ყველას უნდა მოვუწოდოთ **სოფლისაკენ.**
სწერია: **ოპერა ტივზე** ყველას უნდა ჰქონდეს...
უნდა იყოს: **კოოპერატივზე** ყველას უნდა ჰქონდეს...
სწერია: **აბორტი კონსერვატორიაში** ახდენს **დებს...**
უნდა იყოს: **აბბოტი** (ამერიკელი მეცნიერია) **ობსერვატორიაში** ახდენს **ცდებს.**
სწერია: ამერიკის პრეზიდენტს **კულიჩი** მიართვეს ძღვნათ... და სხვა.
უნდა იყოს: ამერიკის პრეზიდენტ **კულიჯს** მიართვეს ძღვნად... და სხვა.
სწერია: აქვს **ბითური** ვაჭრობა
უნდა იყოს: აქვს **ბითუმით** ვაჭრობა
სწერია: შეუყვარდა **მას საათი**
უნდა იყოს: შეუყვარდა **მასლაათი.**
სწერია: უნდა გავატაროთ **მასების აკლების** კამპანია...
უნდა იყოს: უნდა გავატაროთ **ფასების დაკლების კამპანია...**
სწერია: ევგენი **ჩვენი...**
უნდა იყოს: ევგენი **ჩენი...**
სწერია: **რუსთაველი რიონში...**
უნდა იყოს: **რუსთაველის რაიონში...**
სწერია: **ღვინით** სავსე **ნავში...**
უნდა იყოს: **ტვინით** სავსე **თავში...**
სწერია: **შულერის** ყურძენი...
უნდა იყოს: **შულავერის** ყურძენი...
სწერია: **ოფლის** ჩაი...
უნდა იყოს: **სოფლის ჩაი...**
სწერია: **ალიმენტს** ღებულობს...
უნდა იყოს **ქალი მეტს** ღებულობს...
სწერია: ჩემი ხელით **ვაშლის ჭამას..**
უნდა იყოს: ჩემი ხელით **წავშლი ამას...**
სწერია: არ მომწონს თქვენი **სინდისი**
უნდა იყოს: არ მომწონს თქვენი **ზინდისი** (ადგილია სურამში).
სწერია: პოლონეთის **სეირი**
უნდა იყოს: პოლონეთის **სეიმი.**
სწერია: ამერიკელებმა გაიტანეს ორი გემი შავი **ზღვა**
უნდა იყოს: ამერიკელებმა გაიტანეს ორი გემი შავი **ქვა.**
სწერია: ამ დროს მოახლოვდა **აჩრდილი**
უნდა იყოს: ამ დროს მოახლოვდა **არჩილი.**
სწერია: დაბრუნდა **თავ-ცარიელი**
უნდა იყოს: დაბრუნდა **თავ.(ადი)ტარიელი.**
სწერია: დიდი **ლუკა**
უნდა იყოს: დიდი **ლუკმა.**
სწერია: **ორსულის ნაკვთი**
უნდა იყოს: **მოსულის ნავთი.**

*) შეცდომები ამოღებულია გაზეთის ნომრიდან.

# „სამკითხველო“

## სატირა სინამდვილედან.

### (საწირე ქუთაისის მაზრა)

სცენა წარმოადგენს საწირის ქოხსამკითხველოს, რომლის გამგეთ არის ქალბატონი საშა—„პატარა ბიუროკრატი“. სამკითხველოში არეულობაა, მაგიდაზე არის ერთი ძველი გაზეთი, რომელსაც ეტყობა რომ ერთ დროს „სტოლსაფარის“ როლს ასრულებდა. სამკითხველოშია აგრეთვე რადიომიმღები აპარატი, რომელიც „სხვადასხვა მიზეზების გამო არ მუშაობს. შკაფში არეულად ყრია წიგნები, რომელსაც იცავს დიდი ბოქლომი. გუშინ იყო პირველი (და შეიძლება უკანასკნელიც) შემთხვევა, როდესაც სამკითხველო თავის დროზე გაიღო.

**გლეხი:** (შემოდის და ათვალიერებს გაზეთებს):—ქალბატონო საშა, (ამხანაგოს ვერ გაუბედავს) როდინდელია ეს გაზეთი?

**საშა:**—„როდინდელიაო“? ისე მეკითხებიან, თითქოს მე მარჩიელი ვიყო! შენ გაზეთი ხელში გიჭირავს და მე მეკითხები როდინდელია? დახედე, წაიკითხე და გაიგებ.

**გლეხი:**—შე მამა ცხონებულის შვილო, რომ წყრები, რას წყრები, დავხედე, წავიკითხე გავიგე, რომ გასული კვირისაა,! დღეს კი პარასკევაა?

**საშა:**—მერე-და ჩემი ბრალია ისიც, რომ დღეს პარასკევია?

**გლეხი:**—შენი ბრალი ის კი არ არის რომ დღეს პარასკევია,—შენი ბრალია ის, რომ მაგიდაზე პარასკევს კვირის გაზეთი ძევს და ისიც ნახმარი და მხოლოდ ერთი ცალი. ვთქვათ ამ ერთს მე დაუწყე კითხვა; მეორე რომ მოვიდეს, მან რა წაიკითხოს?

**საშა:**—ერთი ამას უყურე და!?დაიცადოს თუ ძაან აინტერესებს ამ ოხერი გაზეთების კითხვა და როდესაც შენ წაიკითხავ, შემდეგ მან წაიკითხოს.

**გლეხი:**—ყველაფერი ეს შენი ბრალია...

**საშა:**—(აღარ დაასრულებინებს) ტსუ... აქ ხმამაღლა ლაპარაკი აკრძალულია. შენ არავინ გეკითხება—ვისი ბრალია! თუ გსურს გაზეთის კითხვა დაჯედი მანდ და იკითხე; თუ არა და ე. მანდ კარებია და მიბრძანდი. (გლეხი გაის. შემოვიდა ვანო).

**ვანო:**—ქ-ნო საშა, წიგნი მინდა, (საშა ყურადღებას არ აქცევს)... წიგნი გინდა, საშა! (ისევ დუმილი. ვანო ხმას აუწევს) მე მგონია თქვენ გელაპარაკებიან; წიგნი მინდა, წიგნი.

**საშა:** (გულმოსული):—მერე მე რა შუაში ვარ? აქ სამკითხველოა და, არა წიგნების მაღაზია!

**ვანო** (თავისთვის):—კაი სამკითხველოა კია—ამ კვირაში მხოლოდ დღეს გაიღო!(საშას) რა შუაში ხარ და გამატანე ერთი რომელიმე წიგნი. მაგაალითად: „ლენინის თხუზულებანი“ ტომი...

**საშა (აწყვეტინებს):** აქ მაგისათან წიგნები არ არის. რა ტყუილს ამბობთ! აი, მე თითონ აგერ ვხედავ.

**საშა:**—გასაღები არ მაქვს სახლში დამრჩენია.

**ვანო:**—რა ვქნა? ძლივს გნახეთ სამკითხველოში დღეს. ასჯერ ვარ მოსული; ხან დაკეტილია, ხან თქვენ არა ხართ; როგორც იქნა აქ „შემოგისწრით“ და ეხლა მეუბნებით—გასაღები არა მაქვსო! შეიძლება ასე?

**საშა:**—ამ განცხადებას ხედავთ თქვენ? (უკითხავს ხაზგასმით) „სამკითხველოში აკრძალულია: **ხმა მაღლა ლაპარაკი!..** მიხვდით?

**ვანო:**—იმე მივხვდი რავა, ვირის თავი კი არა ვარ, რომ ვერ მივხვდე! ხმა დაბლა წეხან გთხოვეთ; არაფერი არ მითხარით და ეხლა ხმამაღლა გითხარით..

**საშა:**—ჰოდა, თუ მიხვდი,—ხმას ნულარ იღებთ (ვანო გადის. შამოდის კომკავშირელი).

**კომკავშირელი:**—ამხ. საშა, ამ რადიოს საქმე როგორ არის? აგერ ექვს თვეზე მეტია რაც დადგმულია, მაგრამ მაგისი ხმა ჯერ არ გაგვიგონია. ვ თომ, როდის დაიწყებს მუშაობას?

**საშა** („ამხანაგო“-ს დაძახებით ნაწყენი):-როდის დაიწყებს მუშაობას და უხუთშაბათო კვირაში.

**კომკავშირელი:**—არა, მე უფრო უკეთ ვიტყვი: ეს რადიო ამუშავდება მაშინ, როდესაც თქვენ ამ სამკითხველოს გამგეთ აღარ იქნებით ჩვენი „ტარტაროზის“ დახმარებით.

**საშა.** (წამოვარდება, კეტავს სამკითხველოს და ჩქარი ნაბიჯით მიდის სასეირნოთ)

დონ—გან.

# „თანახმად განცხადებისა“




ბამბე: რაშია საქმე, რომ მოსვენებას არ მაძლევთ?
მოქალაქე:—საქმე იმაშია, რომ ორი დღეა თქვენი ნახვა მინდა და არ მიმიღეთ. თუ თქვენ მართლა გჯერათ, რომ დრო ფულია, კეთილი ინებეთ და თქვენთან გაცდენილ ორი დღის ქირა მომეცით!

# „ფლავს არიგებენ“



**ქმარი** (ცოლს):—ნუ გეშინია... ვერა ხედავ ჩვენმა ბიჭმა ყველა კედლები როგორ დაჯღაბნა?! ალბად მწერალი იქნება და რამეს კი დასწერს... წაიყვანე ხვალ დილით სახელგამში და ავანსს მისცემენ... ასე შვრება ყველა და ჩვენც რომ ვქნათ, ღმერთი კი არ გაჯავრდება!

## მეღორე და ჩოდარი

— შენია ეს ღორი?

— ჩემია.

— აბა ბურჯუაძე შენა ჰყოფილხარ.

— შენ ნუ მომიკვდები! ახლა ეგ გააგებინე კიდე ჩვენ თავმჯდომარეს! თავად სინსილა გამიქრო შინ ქათმისა და ახლა თუ აქ ჩავეჩვია — დავიღუპები.

— ისე მაინც არ დაიღუპები, ძამია, რომ კარაქი და ღორის ქონი დაგაკლდეს.

— ისემე აგიშენდება ოჯახი! სამი დღეა ბიჭს ველი სოფლიდან და არსადა სჩანს, ალბად ჯერ პური არ გამოუცხვია ჩემ დედაკაცს. სამი დღის უჭმელი ვარ.

— რა ტყუილები იცით ე ბურჟუებმა! რა ტყუილები!.. რამდენადა ღირს, ძამია, ეს ბურვაკი?

— შენ არ ამბობ ტყუილები იცითო! რო გითხრა, არ დამიჯერებ. თანაც ბურჯუაძეს მეძახი და თვითონ კი ღიპი სამგორამდე გაგიგდია. სიგამძღოისაგანა ხვნეში, გინდა მომატყუო: გალმა იჩემებ, რომ გამოღმა მაინც დაგრჩეს..

— ნუ გააბი ჭრიჭინასავით.... როგორ ეს ბურვაკი?

— ხუთ მანეთად.

— ეს შაქი?

— ჩერვონცად.

— ის ტახი?

— ხუთ ჩერვონცად.

— აგე ის ნეზვი?

— სამ ჩერვონცად.

— მაგის შემდეგ ამბობ ბურჯუაძე არა ვარო? აბა უყურე რა რიყესავით არის გაფენილი ღორი ამ ჭყანტობებში. ყველას ვერც კი ვხედავ. ვინ იცის რამდენი კიდევ მოფარებულია!

ამდროს გავარდა თოფი სიმინდში.

— მოჰკლეს.—დაიძახა მეღორემ.

სიმინდში გადასულიყო და მეველემ მოჰკლა.

გამოიწვიეს არჩეულები.

დაიარეს. ზარალი ნახეს და ოცი თუმნისა შედგა წანახედი.

— ამხანაგო—მიჰმართა მეღორემ არჩეულებს: რა გეჩქარებათ წანახედის აწყვა, პური გეშიებათ, ცოტაოდენი ვჭამოთ რამე და შემდეგ გავზომოთ რამდენისა იქნება წანახედი.

— არა, არა, არა!—აჭიჭყინდა სიმინდის პატრონი: ოცი თუმნისაა წანახედი—მორჩა და გათავდა!

— იყოს. ოცი თუმნისა იყოს კაცო, ვინ გედავება, მაგრამ ამ კაცებს მშიერს ხომ არ გაუშვებთ,—სთქვა ისევ მეღორემ და წამოაქცია შაქი.

ორ დღეს მწვადებს შიშხინი გაჰქონდა.

— აბა მითხარით თქვენი ჭირიმე. არჩეულებო, რამდენია წანახედი.

— რა გეჩქარება, შინ რო მივალთ, ერთ კვირა დღეს შავიკრიფებით და გადავწყვიტავთ,—სთქვა ერთმა არჩეულთაგანმა.

— აბა ერთი ეს გოჭები დაიჭი და წამომგვარე მეღორე, მინდა შენ სახელზე გამოვზარდო, ვნახო რა ჯიშის ღორი გყავს.

გოჭები დაუჭირეს ამორჩეულს.

— აბა ერთი ეს ორი ბურვაკი მე დამიჭირე, ტამადლურად მინდა გავიჩინო.

დაუჭირეს ორი ბურვაკი მეორე არჩეულს.

— აბა ის ნეზვი ღორი წამომგვარ, მეღორე, ერთი საალმგომოდ მინდა გავასუქო და თანაც ზარალს აღარ მოგცემს.—სთქვა მესამე არჩეულმა.

— აბა ერთი ის შაქი მე გამომიგდეთ, ამაღამ მგელმა არ შაჭამოს — სთქვა მეხუთე არჩეულმა.

— ეი, მეღორე!—დაიძახა სიმინდის პატრონმა: ის გოჭებიანი ღორი კიდევ მე გამომიგდე, შენს სადღეგრძელოდ დავზარდო, თორემ ეს არჩეულები იგრე იჭერენ საქმეს, რომ შინ რო მივალთ. აღარაფერ ზარალსაც აღარ დაინახავენ!

არჩეულებმა თვითონ გამოუგდეს გოჭებიანი ღორი სიმინდის პატრონსა და წავიდნენ სოფლისაკენ.

— ლიპიანო!—უთხრა მეღორემ ლიპიან ჩოდარს: დაინახე? აბა რაღა დარჩა აქ?! თუ ამათაც ზეგ არ დაყარეს გოჭები—დავიღუპები.

სალამოთი სამიოდე ღორი-ღა წაალრუცუნეს ბაკში დასამწყვდევად.

ჩოდარი ცხვირ ჩამოშვებული იჯდა და ცაში მარსკვლავებსა სთვლიდა. ამდროს უეცრად გადახტა ბაკში მგელი. დაავლო პირი რომელიღაც ღორსა და ჭყივილით წაიღო.

— ლიპიანო, ჰხედავ, აგე სამ ჩერვონციანი მიაქ.

— მერე რაღას უყურებ კაცო, დაუყვირე, გააგდოს.

— ი, შე სალავათ-ძაღლო, თუ დაყვირებაზეა საქმე, ის ღორი უფრო შიგ ყურში არ ჩასჭყვირის?!

ფეშანგი.

# ჯოჯოხეთის კუთხე



## ნესტორ კვაჭი

**ბიოგრაფიის მაგიერ*)**

ნესტორ ნასრია, ანუ, როგორც ხაშურში ეძახიან ნესტორ გალლეტილაძე დაიბადა ჯერ კიდევ ძალიან პატარობას.

ნესტორს თავიდან ეტყობოდა, რომ იგი დიდი ნიჭის პატრონი იყო.

ყველა მისი „საქმენი საგმირონი"-ს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ზოგს მაინც დავასახელებთ.

შარშან ნესტორს დასჭირდა მოწმობა იმის შესახებ, რომ მას კერძო საკუთრება არა აქვს. (ეს სჭიროდა მას რაღაც კომბინაციისათვის).

ჩავარდა კაცი საგონებელში.

მოდი ნუ ჩავარდები! კაცს თბილისში 48 ოთახიანი სახლი აქვს; ხაშურში მიწა-წყალი და სახლ-კარი.



ნესტორმა საჩვენებელი თითი მიიდო შუბლზე და...

მოაგონდა: იგი ოდესმე ერთხელ ცხოვრობდა ქუთაისში, სადაც კარგი ქონება ჰქონდა, მაგრამ გაჰყიდა... მაშასადამე: მას ქუთაისში არავითარი კერძო საკუთრება არ აქვს.

ნესტორი გაემგზავრა ქუთაისისაკენ... და აიღო საჭირო მოწმობა.

ამგვარად, საქმე „მოაგვარა"...

ნესტორისათვის არც მიწის კანონი არსებობს. ადგილობრივ მღვდელს მიჰყავდა ერთი ნაჭერი მიწა. მერმე რა ვუყოთ, რომ კანონი ამას უკრძალავს. მისთვის, როგორც თვითონ ამბობს:

— არ არსებობს კანონი და დეკრეტი!

აი, ასეთი ძლიერი კაცია ნესტორი. და ამის შემდეგ ყველასათვის გასაგები უნდა იყოს მისი ღიღინი.

**რის კანონი, რის დეკრეტი?**
**ხომა არ გიქრით თავში ქარი?!**
**მერე რა, რომ აქ ხაშურში**
**საუცხოვო მაქვს სახლ-კარი?**
**მერე რა, რომ აქ თბილისში**
**მე სახლი მაქვს ეგზომ დიდი'**
**მერე რა, რომ, როგრც ძველად**
**მიწებს დღესაც ისევ ვყიდი?**

## „ემანსიპაცია"

ყველაფრის გაგება შეიძლება თავისებურათ.

მაგ. „ემანსიპაცია" სოფ. **დაბა-ძველაში** ქუთაისის მაზრა) დარიკო ქარქაშაძეს და მის მეგობრებს ასე ესმით:



მზადება რაუტისათვის

**16 სექტემბერს ჟ—ს გაუმართეს ,,რაუტი". თვითეულმა მათგანმა (ისინი იყვენ 18 ქალი) მოიტანა თითო დოქი ღვინო და ქათამი. თამადობდა დარიკო.**

**— ამხანაგებო ამბობდა იგი სუფრაზე,—რითი ვართ ჩვენ ნაკლები ჩვენს ქმრებზე? არაფრით. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ და გავტაროთ ცხოვრებაში ,,ემანსიპაცია"...**

და მართლაც მამკაცებზე არა ნაკლებ ყლაპავდენ სავსე ჭიქებს....

რითი უნდა დასრულებულიყო „რაუტი?"

დიახ! ეს კითხვა უნებლიეთ დაებადა კაცს.



რაუტის შემდეგ

---

*) ცნობები აღებულია **ხაშურელ წურბელას** გამოგზავნილ მასალებიდან.

ტარტაროზს ხშირად უსაყვედურებენ, რომ იგი ყველას მასხრად იგდებს და პატივსაცემ პირებს ყურადღებას არ აქცევს. საყვედური სამართლიანია. ამ ნაკლის გამოსასწორებლად ჩვენ ხშირად გავუშვებთ „საპატიო პირების" სურათებს და მოკლე დახასიათებს. თანამშრომლებს ევალებათ მოგვაწოდონ მათი სურათები და საჭირო ცნობები.

# კიდევ „მოსწრებული პასუხი"

(ი. ბეჟ-ის მიხედვით).



**მასწავლებელი:**—აბა, შენ დამიხატე ცილინ დრი....
**მოწაფე:**—მზად არის მასწავლებელო.
**მასწავლებელი:**—ეგ არის გეომეტრიული ცი ლინდრი?
**მოწაფე:**—ეგ არის ბატონო... ნამდვილი ჩემბერ ლენის ცილინდოი..

---

მამაკაცების „რაუტი" რომ იყოს,—მაშინ დასასრულიც გვეცოდინება—ჩხუბი, ცემა-ტყეპა...

მაგრამ აქ ხომ მანდილოსნებია!

ძნელია ეჭვის შეტანა, მაგრამ... ჩვენ გვეძნელება თქმა; გაუგონეთ, რას ამბობს ისარი:

**როცა ქალები დათვრენ, ისეთი ჩხუბი და ცემა-ტყეპა ატყდა მათ შორის, რომ მგონი ერთსაც არ შერჩენია თავზე თმები, ტანზე ტანსაცმელი და ზოგიერთს პირში კბილები.**

მართლაც გათანაბრებულან თავიანთ ქმრებთან; რას ერჩით—„ემანსიპაციას" იცავენ.

### შეჯიბრი

ვინ არ იცის, რომ ამ ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა სხვადასხვაგვარი შეჯიბრი—დოლი, ავტო-გადარბენა, ცურვა და სხვა.

ეს რა დიდი ამბავია.

საქმე ის არის, რაც ბათომ-ოზურგეთის მატარებლის № 44-ის რევიზორმა **მიქაძემ** ორ ოქტომბერს საოცრება მოახდინა.

იგი შეეჯიბრა ნატანებიდან ოზურგეთისაკენ მიმავალ მატარებელს.

საზოგადოდ მიღებულია: როცა კაცი „გადაკრულშია", მეტი ენერგია აქვს.

„ამიტომ მიქაძე შევიდა ბუფეტში და ბლომად ჭ გადაჰკრა.

ამბობენ:—ღვინის სმაში ისე გაერთო, რომ მატარებელი დაავიწყდაო... და მხოლოდ მაშინ მოაგონდა, როცა სადგურიდან გავიდაო!

ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

მიქაძემ განგებ „დაიგვიანა", რომ მას შესაძლებლობა ჰქონებოდა ფეხდაფეხ გამოჰკიდებოდა მატარებელს.

ერთჯერ შეუკურთხა სადგურის უფროსს მის დაუკითახავად მატრებლის გაშვებისათვის და გამოედევნა მატარებელს.



მაგრამ, როგორც სჩანს, ღვინო გადაჭარბებით დაელია და მუხლები მოეკვეთა. უსინდისო მატარებელმა ალი არ დაუცადა..

მიქაძე ისევ სადგურში დაბრუნდა და, როგორც „ტრიო გვაცნობებს:

**იქეიფა მთელი ღამე...**
**თუ გააჩნდა ფული რამე.**

მართალია: პირველ შეჯიბრში დამარცხდა მიქაძე, მაგრამ მას იმედი აქვს შემდეგში აუცილებლად დაეწევა მატარებელს. (ასეთი შემთხვევა ხომ ბევრია მის რევიზორობაში).

ყოველშემთხვევაში ვაშა მიქაძეს!—პირველმა მან გაბედა მატარებელთან შეჯიბრება. ,



# „საიქიოს გამგზავრება“

**(ს. ჩიბათი—გურია)**

რამდენიმე დღის წინათ, ჩიბათის თემალმასკომის თავმჯდომარეს სულაბერიძეს წარუდგა საიქიოდან გამოგზავნილი ოთხი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია.

დელეგაციაში შედიოდნენ: ალ. კუკულაძე, ნიტ. გალოგრე, ამრ. ჯორბენაძე და პოლ. სანაძე.

დელეგაციამ აღმასკომის თავმჯდომარეს ნათლად დაუხატა საიქიოს თვალწარმტაცი სიმშვენიერენი.

იქ საიქიოში—სთქვეს დელეგაციის წევრებმა—სრული თანასწორობა არის ცხოვრება შეიძლება უშრომოთ. თემის აღმასკომის თავმჯდომარეს პირადათ არაფერის გაკეთება არ დასჭირდება; ის იტყვის თუ არა—ყველაფერი თავის თავად კეთდება“....

დელეგაციის წევრებს ჯერ კიდევ არ დაესრულებინათ ლაპარაკი, რომ ერმილეს მეტის-მეტი სიხარულისაგან თავბრუ დაესხა; აუვარდა გულის ფანცქალი:—ამას რაღა ჯობია! მხოლოდ და ამის თქმა მოასწრო და მიიცვალა...

მართალია მან საიქიოში კარგი ადგილი იშოვნა, მაგრამ მისი დაკარგვა ძლიერ სამწუხაროა ჩიბათის თემისათვის. და მერე როდის?—როცა თემსაბჭოს არც ერთი დადგენილება არ გაუტარებია ცხოვრებაში. მხოლოდ წლის ბოლოს სცდილობდა (ან უკეთ რომ ვსთქვათ ფიქრობდა) რომ ერთის ხელის დაკვრით ყველაფერს მოიყვანდა სისრულეში.

თემალმასკომის თავმჯდომარეთ ეხლა ილიკო ჯორბენაძე დავაყენეთ; მარა არც იმის იმედი გვაქვს: ვაი თუ ერმილემ—საიქიოში განცხრომას ნახავს—ილიკოს დელეგაცია გამოუგზავნოს და შემოუთვალოს:

— რა გინდა! რას უცდი? ჩიბათში თეატრი არა გაქვთ; არც საკრედიტო ამხანაგობა; ვაჭრები ტყავს გაძრობს; ქუჩებში უსუფთაობაა.... ყველა ამას რომ გადაურჩე გომახურის ღელე მაინც წაგიღებს, რადგან მის ნაპირებს არავინ ამაგრებს“-ო.

წამოდი რა აქეთ?

და თუ მართლაც წავიდა, **მაშინ** რაღა გვეშველება!?

**მ. ჩიბათელი.**

# დეპეშა

**ნიგვზიანის თემი (გურია)**

ვინაიდან საექიმო პუნქტის პერსონალი: გამგე—ექიმი **ქაჯაია**, მისი მეუღლე—**ბებია ქალი** და ექიმის თანაშემწე **პეიშვილი** ზედმიწევნით დატვირთული არიან გლეხი ქალებისათვის ზონდის საშუალებით მუცლის მოშლით,—ყველა დანარჩენ ავადმყოფთა წამლობა დაეკისრა „გუჯანას“-ს კლინიკის დამსახურებულ მკურნალს—ნასტა ჭყონია—დოლიძისას. რომელიც ყოველგვარ სნეულებით შეპყრობილთ ჰკურნავს: „ხვითო“-ს და „ალმასი“-ს—ნაბანი წყლით, აგურის ნახეხით, ფხვნილი შაქრით, და მრავალი ახალი გამოგონებებით, რითაც მდიდარია მისი კარაბადინი. არჩენს: „გათვალულს“, „ხამ ნაკრავს“, „სურდოს“, „ქარცეცხლს“, „სიზმარიას“, „უძილობას“, და „საპყარს“.

სერიოზული უთანხმოება, რომელმაც შარშან თავი იჩინა ნასტასა და საექიმო პერსონალს შორის, მოგვარებულია: ამიერიდან ნასტამ ხელი აიღო დაინტერესებულ პირთ აძლიოს „უშვილობის“ წამალი და ეს უფლება 26 სექტემბრიდან გადავიდა ქაჯაია-პეიშვილის ხელში.

**ხლაფორთი.**

# შარადა

„ტარტაროზ“, შენის ნებართვით
მსურს წერა ვიწყო მარადა
და, თუ შევძელი, ავკინძო
ეს სადღეისო შარადა.

—

ორი მარცვლიდან შესდგება
სიტყვა გვჭირია რომელი,—
სათვალავისა დასაწყისს
მას ხმარობს კაცი ყოველი.

—

გვჭირია მხოლოდ პირველი
ამა სიტყვისა მარცვალი;:
მეორე გადავისროლოთ,
ვით უვარგისი, დამპალი.

—

აწ ახლო-მახლო ვეძიოთ,
რათ გვინდა შორი მანძილი
მოვნახოთ ჩვენი სხეულის
სულ უმთავრესი ნაწილი.

—

ნაწილი, რომელ სხეულის:
დიქტატორ-მბრძანებელია,
(ზოგი სავსეა გონებით,
ზოგი სულ ცარიელია!).

შუაზე გაკვეთა ამ სიტყვის,
არც ისე გასაჭირია;
შარადისათვის მარცვალი
მხოლოდ პირველი გვჭირია.

—

ესე ნაკვეთი რჩეული
ავიღოთ მოწიწებითა
და შემონახულს პირველსა
მივაკრათ მორიდებითა..

—

აწ ერთი დაგვრჩა მხოლოდ-ღა,
ჩვენ მოსანხი საგანი:
სადაც ფრინველთა ამწყვდევენ,
რომელ არს მათი საკანი.

—

ამა სიტვასა ბოლოდან
მოვკვეთოთ ერთი ანბანი;
დაგვრჩება ორი მარცვალი—
ჩვენი ძიების საგანი.

—

აქ დოსტაქარი არ გვინდა,
აღარ გვაქვს რადგან საჭმელი,
გვაქვს მხლოდო ორი მარცვალი—
წინ-უკან გადასასმელი.

წინ დაუყენოთ მეორე,
უკან დავწიოთ პირველი,—
მით გათავდება შარადა,
რისაც ვიყავით მსურველი.

—

ორგანოს სახელს მივიღებთ,
რომელსა იცნობს ყოველი,
(თუმცა მე მისგან აროდეს,
ხეირს, ბიძია, არ ველი.)

—

მას თავი მოაქვს მოსარჩლედ,
ვითომც ჩაგრულთა მხსნელია;:
საქმე არა სჩანს, მუსაითფ
უნდება მრავალ წელია.

—

ეხლახან ჰქონდა სხდომები,
ისმოდა ბაქი-ბუქია.
თუმცა მას იქ აქებს მრავალი,—
ჩვენში კი არვის უქია

**გოგია.**

# ცნობათა მიღებაში

**ბარიტონს:**—თუ ლექსს არ დაბეჭდავთ, ცნობათა მიღებაში ნუ გამომაცხადებთ-ო... ჩვენც ასე მოვიქეცით.

**ვალიკო რაჭველს** (წესი. რაჭა):—მასალა უნდა შეეხებოდეს ადგილობრივ ცხოვრებას. გაეცანით ჟურნალში განყოფილებებს: **„სატარტაროზო“** და **„ჯოჯოხეთის კუთხე“-ს.**

**მაქსიმიჩს** (ტყიბული):—მაგ ამბავზე უკვე გვქონდა ტარტაროზში კარიკატურა. მოგვაწოდეთ სხვა მასალა—(კარიკატურა).

**ვერმიცანის** (ქუთაისი):—ეს ძველი ანეკდოტია, რომელიც ძველ ჟურნალებშია მოთავსებული. მოგვაწოდეთ კარიკატურები ადგილობრივ ცხოვრებიდან.

**ამცვინისს** (ქ. სოხუმი):—მასალა უნდა შეეხებოდეს ადგილობრივ ცხოვრებას და მის მახინჯ მოვლენებს ფაქტებს დასახელებით.

**ჯიშიანს:**—თქვენ გვიგზავნით იაგორ ლოთაძის სურათს, ალგვიწერთ მის თავგადასავალს და გვთხოვთ მოვათავსოთ ასეთი წარწერით:

**კაცი, რომელიც გადაურჩა ქირურგიულ განყოფილებაში პრაქტიკანტების აქიმობას და უვნებლად გამოვიდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დაჟანგულ ნემსების გამო დაავადების უფრო გართულებას და ამ ნიადაგზე ავათმყოფის წელში მოხრას.**



მართლაც, იშვიათი მოვლენაა და ჩვენც სიამოვნებით ვათავსებთ მის სურათს.

**ფითრახოს:**—საზნათ გამოგადგებოდათ; ჩვენ რად გვიგზავნიდით! გვინდოდა—თავიდან ბოლომდე წაგვეკითხა, მაგრამ ქაღალდი მაგიდაზე არ მოთავსდა.

**შუხური** (სადგ. მცხეთა):—ახირებული კაცი ხართ! რასე რჩით მოლარე ქალს! ნუ მიმართავთ კითხვით ისეთ დროს, როცა იპუდრება—„იკრასკება“ და აღარ შემოგიყვირებს. ლანძღვა-გინების კი არა, უარესის ღირსი ხართ თუ არშიყობის დროს ხელს უშლი ბილეთის ყიდვით.

**თარალეს** (სუფსა):—სუფსელ რასპუტინს—ლ. მითაიშვილს უგზავნით ლექსს, რომელსაც ასე ათავებთ:

**რა გიშავს ციხის კედლებში, შენ გენაცვალოს თარალე.**
**ილოცე... იმხიარულე, იმღერე: „ჰარი-ჰალალე...**

ჩვენ გადავუგზავნეთ თქვენი ლ... გვგონია, რომ იგი ეხლა სიმღერის ხასი...

**ტ. დიგარდმელს** (ბაღდადი. ს. ზედა-...) ...დიანი ბებია“-ს (ნიკოს ნაამბობი), როცა ტა... კუდი (ბოლო) მოაჭრა, აღარაფერი დარჩა. ტარტ... არც კუდიანობა სწამს და არც თქვენი წერილი.

**ომერ-ოღლს** (სადგ. ვაზიანი):—აბესაძეზე გიწერთ:

**მოგვევლინა აბესაძე.**
**კაცი არის ბრაზიანი.**
**მოსვენებას არვის აძლევს,**
**მთლად აიკლო ვაზიანი,**
**მებუფეტეც გამოსცვალა...**
**კედლის გაზეთს მოჰკრა თვა...**
**არ იამა, გაილრინა,**
**შეგვიკურთხა მან მრავალი...**

უფრთხილდეს—ტარტაროზმა არ შეუკურთხოს, თორემ შემდეგ ველარ უშველის ის, ვინც

**ცენტრში მას ჰყავს „დიდი კაცი“**
**და ამისი აქვს იმედი...**
**ამიტომაც არის ალბად**
**აბესაძე ასე ყმედი.**

**მეტეორს** (სუფსა):—დავბეჭდავთ მაშინ, როცა ტყეში მიმალულ ვანოს ნახავს ნიკო. გზა თუ დაულოცა ცოლს, მაშ რაღას ერჩით ნიკოს?!

**ზღვისპირელს** (ნატანები):—იწერებით ნატანების ლორების ზრდილობაზე... თქვენც იქონიეთ ზრდილობა და მრავალჯერ მოთავსებულ ამბავს კიდევ ნუღარ გვაწვდით.

**ვ. ბზიკის მეგობარს** (მარანი):—„კნიაზ“ ვასო წულუკიძეს, რომელიც:

**აურიოთო ყვიროდა: ძმებო, რაღა დროს ძილია;**
**ვერვინ გაბედავს აქ რამეს, მე ვარ „კნიაზის“ შვილია,**
—თვითონ თქვენ უთხარით (რაღა ჩვენ გვავალებთ), რომ:
**დამშვიდდი... აზნაურობას სჯობს ერთი ჰიქა მაჭარი**
**და დღეს ჩვენს რესპუბლიკაში არაფრად ფასობს ვაჭარი.**

**სხაპოს.** სხვანაირად არ მიიღოთ, რომ თქვენს ლექსს აქ ვათავსებთ მართლწერის დაცვით:

**მოგესალმები ტარტაროზ**
**როგორც საკუთარ ძმასაო.**
**თუ მოღალატე გაგვიჩნდა**
**მას ცხვირში ვადენ ძმარსაო.**
**პირველი არის ჩემი წერილი**
**და ნუღარ მეტყვი უარსაო,**
**თორემ სიცოცხლე არ მილირს**
**და ჩამოვიხრჩობ თავსაო.**
**ჩვენსკენ წვიმები ხშირია**
**და არ მოველით დარსაო.**
**ერთი ფუღელი ხარს ვყიდი,**
**მაინც არ ჰყოფნის მჭადსაო.**
**სიმინდს ფასები უმატეს**
**ერთი მანეთის შვიდამდის;**
**თუ რომ მე ამას ტყუილს გეტყვ...**
**აღარ მივედი შინამდის.**
**კიდევ მინდოდა, რომ დამეწერა**
**სოფლისგან მონაპოვია,—**
**მაგრამ შენ ჩემზე უკეთ ი...**
**დღეს რეჟიმ ეკანომია...**

# პრემია

...რტაროზს შეატყობინებს სინამდვილეს — ნიკოლოზ მიწიშვილმა დაიწერა თუ „საიკ... ...ი, მიიღებს საჩუქრად ნახევარს იმ გონორარის რაოდენობისა (1.000 მან.), რომელიც სა... ...ი აქვს ავტორს ჯერ კიდევ მოუფიქრებელ რომანის: „ეპოპეია“-ს ანგარიშში.

რამდენიმე დღ...
თემალმასკომი...
ზერიძეს წ...
ზვენილ...
დ...



პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კომის ქუჩა, № 68.